

საქართველოს საპატრიარქო დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი

შინაგანაწესი

მუხლი 1. კოლეჯის შინაგანაწესის მიზანი

1. "საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი"-ს დებულება წარმოადგენს **სამუშაო** პროცესის მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტს.
2. შინაგანაწესის მიზანია კოლეჯის თანამშრომელთა ფუნქციების სრულყოფილად განხორციელების ხელშეწყობა; თანამშრომელთა და სტუდენტთა დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა; სამუშაო და სწავლების დროის რეგულირება, ხელფასის გაცემის დრო; სამსახურში გამოუცხადებლობის და შეტყობინების წესი, კოლეჯის თანამშრომელთა და მსმენელთა ქცევის ზოგადი წესი.

მუხლი 2. კოლეჯის თანამშრომელთა მიღება, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და შრომის ანაზღაურება;

1. კოლეჯში თანამშრომელთა მიღება ხორციელდება დირექტორის მიერ გასაუბრების საფუძველზე, რის შესახებაც გამოიცემა დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ფორმდება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება.
2. კოლეჯში თანამშრომელთა მიღებისას მოეთხოვება შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:
 - განცხადება დირექტორის სახელზე სამსახურში მიღების შესახებ;
 - ავტობიოგრაფია cv ;
 - განათლების ან პროფესიული მომზადების შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი;

- განვლილი ტრენინგ-სემინარების სერთიფიკატი (არსებობის შემთხვევაში);
- პირადობის მოწმობის ასლი;
- ორი ფოტოსურათი 3X4 (ელექტრონული ვერსიით)

3. სამუშაოზე მიღებულ ყველა თანამშრომელზე იქმნება პირადი საქმე, რომელშიც ინახება შემდეგი დოკუმენტები:

- კადრების აღრიცხვის ფურცელი;
- ავტობიოგრაფია CV;
- განათლების ან პროფესიული მომზადების შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის (შესაბამისი კვალიფიკაციის) ასლი;
- განვლილი ტრენინგ-სემინარების სერთიფიკატები;
- შრომითი ხელშეკრულება,
- თანამშრომლის სამუშაოდან გადაყვანის, დასჯის, წახალისების, და დათხოვნის შესახებ ბრძანებები.
- პირადი საქმე ინახება კოლეჯში, დათხოვნის შემთხვევაში – რჩება კოლეჯში;

5. კოლეჯის დირექტორის მოადგილე **ადმინისტრაციულ და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში** თანამშრომელს დასაქმებამდე აცნობს ძირითად დოკუმენტებს: სასწავლო პროგრამებს; კოლეჯში სანიტარიის, შრომის, ჰიგიენის, ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვის საკითხებს. დასაქმებამდე თანამშრომელი ეცნობა წინამდებარე შინაგანაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას და თანხმობას აღნიშნული პირობების შესაბამისად განხორციელებისათვის ადასტურებს საკუთარი ხელმოწერით გაცნობაზე.

6. კოლეჯის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება (ხელფასი) შედგება შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს, პრემიისა და კანონმდებლობით დადგენილი დანამატებისგან;

7. კოლეჯის თანამშრომლებზე ხელფასი გაიცემა თვეში ერთხელ სახელფასო ბარათზე მისთვის კუთვნილი ანაზღაურების დარიცხვით. დარიცხვა ხორციელდება თვის 1 რიცხვიდან 5 რიცხვამდე. (დარიცხვის პერიოდის არასამუშაო პერიოდთან დამთხვევის შემთხვევაში ხელფასის დარიცხვა ხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს).

მუხლი 3. სამუშაო დროის დასაწყისი, დასასრული და შესვენების დრო

1. სამუშაო დროდ ითვლება დღის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული უნდა ასრულებდეს თავის სამუშაოს.

2. კოლეჯში სამუშაო დრო იწყება 9:00 საათზე და მთავრდება 18:00 საათზე;
3. კოლეჯში სამუშაო დღის განმავლობაში შესვენების დრო განისაზღვრება 1 საათით;
4. ხელშეკრულებით მოწვეული პედაგოგების სამუშაო დრო განისაზღვრება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დატვირთვების შესაბამისად;
5. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უქმე დღეებსა და დიდი საეკლესიო დღესასწაულის დღეებში სწავლა არ მიმდინარეობს.
6. უქმე დღეების და არდადეგების ხანგრძლივობა განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით;

მუხლი 4. კოლეჯის თანამშრომელთა ძველის ზოგადი წესები

1. კოლეჯის თანამშრომლები ვალდებული არიან: დროულად გამოცხადდნენ სამსახურში;
2. სამუშაოს დღის (დღის ნაწილის) საპატიო მიზეზით შესაძლო გაცდენის შემთხვევაში აღნიშნულის თაობაზე წინაწარ აცნობოს დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში;
3. დაიცვან კოლეჯის დისციპლინა;
4. დაიცვან პროფესიული ეთიკის, ზნეობის და სუბორდინაციის ნორმები;
5. სათანადოდ მოეპყრონ კოლეჯის ინვენტარს და ტექნიკურ მოწყობილობებს;
6. დაიცვან სახანძრო უსაფრთხოებისა და სანიტარული წესები;
7. შეასრულონ კოლეჯის ხელმძღვანელობის ბრძანებები და მითითებები;
8. კოლეჯში აკრძალულია თამბაქოს მოწვევა, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა;

მუხლი 5. სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვებინების წესი

1. წინასწარ ცნობილი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში თანამშრომელი ვალდებულია დირექტორს წერილობით აცნობოს სამსახურში არყოფნის პერიოდი და მიზეზი.
2. გაუთვალისწინებელი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში თანამშრომელი ვალდებულია შეძლებისდაგვარად გამოცხადებამდე აცნობოს დირექტორის მოადგილეს გამოუცხადებლობის მიზეზი და სავარაუდო პერიოდი. გამოცხადების შემდეგ თანამშრომელმა ხელმძღვანელის მოთხოვნისთანავე უნდა წარუდგინოს მას წერილობითი მოხსენებითი ბარათი.

მუხლი 6. კოლეჯის თანამშრომელთა წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა

1. კოლეჯის თანამშრომელთა მიერ სამსახურეობრივი მოვალეობათა შესრულებისათვის და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის გამოიყენება წახალისების შემდეგი სახეები:

- მაღლობის გამოცხადება;
- ფულადი პრემია;

2. შინაგანაწესის დარღვევის და სხვა გადაცდომის გამო დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეებია:

- შენიშვნა;
- საყვედური;
- სასტიკი საყვედური
- შრომის ანაზღაურების 3%-დან 10% დაქვითვა;
- სამსახურიდან დათხოვნა;

3. თანამშრომლის სამსახურიდან განთავისუფლება შეიძლება შინაგანაწესის უხეში დარღვევისთვის და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის.

მუხლი 7. კოლეჯში შვებულების ხანგრძლივობა და ბაცემის წესი

1. თანამშრომელს უფლება აქვს ისარგებლოს შვებულებით სასწავლო წელიწადში 24 დღით; თანამშრომელი ვალდებულია ორი კვირით ადრე გააფრთხილოს ადმინისტრაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო;

2. დროებითი შრომის უუნარობა:

- დროებითი შრომის უუნარობა, თუ მისი ვადა არ აღემატება ზედიზედ 30 კალენდარულ დღეს და არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეჩერებას.
- ორსულობა–მშობიარობასთან დაკავშირებული დროებითი შრომის უუნარობის ვადა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 8. საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული მასწავლებელი

1. პროფესიული მასწავლებლის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, დანიშნისა და ორმხრივი ხელშეკრულების აქტების საფუძველზე, რომელიც იდება კოლეჯის დირექტორსა და მასწავლებელს შორის.

2. პროფესიულ მასწავლებელს წაეყენება შემდეგი მოთხოვნები:

- საგნის ცოდნა;
- უცხო ენის ცოდნა (ლიტერატურის გამოყენების დონეზე);
- კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევები (საოფისე პროგრამები);
- ზრუნვა თვითგანათლებაზე, პროფესიულ დაოსტატებაზე.

3. პროფესიული მასწავლებელი ვალდებულია:

- წარმოადგინოს საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებაზე, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს /მუდულებს, პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს, პროფესიული სტუდენტის დატვირთვებს კრედიტებში და სწავლების მეთოდებს.
- გაუფრთხილდეს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას;
- სისტემური და აქტიური მონაწილეობა მიიღოს მუშაობაში;
- უზრუნველყოს აუდიტორიაში სასწავლო დისციპლინა;
- სისტემურად გაანალიზოს აუდიტორიის წარმატებები და წარუმატებლობები და შედეგები წლის ბოლოს წარმოადგინოს ხარისხის მართვის სამსახურში. დროულად (მითითებულ ვადებში) შეასრულოს ხარისხის მართვის სამსახურის მითითებები და მოთხოვნები.

4. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახური აფასებს პროფესიული მასწავლებლის მოღვაწეობას კოლეჯში. კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია, მაგრამ არ არის ვალდებული, დადოს ახალი შრომითი ხელშეკრულება მასწავლებელთან, რომლის მოღვაწეობა დადებითად შეფასდა.

5. ვადაზე ადრე მასწავლებელი გათავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან ა) პირადი განცხადების საფუძველზე; ბ) მხარეთა შეთანხმებით; გ) ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ; დ) სახელშეკრულებო პირობების დარღვევისას; ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევაში;

მუხლი 9. კოლეჯის პროფესიული სტუდენტი

1. პროფესიული სტუდენტი არის პირი ,რომელიც "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გასაველელად;

2. კოლეჯის სტუდენტს უფლება აქვს: ა) მიიღოს პროფესიული განათლება პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი ცოდნის, უნერების და ღირებულებების შესაძენად;

ბ) კოლეჯის შინაგანაწესით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ -ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია კოლეჯის საქმიანობის შესახებ;

დ) აირჩიოს წარმომადგენელი და იქნას სტუდენტური თვითმართველობის ორგანოებში;

ე) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;

ვ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;

ზ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მიჭებული სხვა უფლებამოსილება;

თ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სწავლა გააგრძელოს კოლეჯის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

ი) ითხოვოს გათავისუფლება ლექციებიდან, თუ გააჩნია დასაბუთებული მიზეზი (ექიმის ცნობა, განცხადება) ან არის შეუძლოდ, რასაც ადასტურებს კოლეჯის ექიმი;

3. სწავლასა და სამეცნიერო კვლევებში მიღწეული წარმატებების და პროფესიული კოლეჯის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის სტუდენტის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას წახალისების ფორმა - მადლობის გამოცხადება;

4. სასწავლო პროგრამის დასრულებისას გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ მიენიჭოს შესაბამისი სპეციალობის კვალიფიკაცია და გადაეცეს პროფესიული დიპლომი

1. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

- არ გააცდინოს ლექციები უმიზეზოდ;
- არ დაიგვიანოს ლექციაზე;
- აქტიურად იყოს ჩართული სწავლის პროცესში;

- აქტიურად თანამშრომლობდეს სტუდენტებთან და პედაგოგებთან;
- მომზადებული მოვიდეს ლექციებზე. სრულფასოვნად /ან შესაძლებლობის ფარგლებში/ შეასრულოს სამუშაოები;
- ლექციაზე არ იყოს დაკავებული სხვა საქმიანობით, გარდა სწავლისა;
- არ დააზიანოს სასწავლო ინვენტარი. დაზიანების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია, ადადგინოს დაზიანებული ნივთი.

3. კოლეჯის შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში:

- პროფესიულ სტუდენტს ეძლევა გაფრთხილება;
- მეორე დარღვევის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა საყვედური;
- მესამე დარღვევის შემთხვევაში მოხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება.

მუხლი 10. კოლეჯის შინაგანაწესის დამტკიცების და ცვლილებების შეტანის წესი